ხელშეკრულება

სახელმწიფო მომსახურების შესყიდვების შესახებ № 233

ქ.თბილისი დეკემბერი 2019წ.

1.ხელშეკრულების მხარეები

ერთის მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი-ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი დირექტორის გიორგი თავაძის სახით, (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ ფ/პ **გიორგი თაყაძე,** დაბადებული 15.08.1977 წ., ID ბარათი №11 IB 53214, პირადი №01019004604, (შემდგომში „მიმწოდებელი“), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2.ხელშეკრულების ობიექტი და საგანი

2.1.ხელშეკრულების ობიექტი და საგანია დანართი№1 გათვალიწინებული მომსახურების გაწევა.
2.2.ხელშეკრულების №1 დანართი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3.ხელშეკრულების ჯამური ღირებულება
ხელშეკრულების ჯამური ღირებულება განისაზღვრება საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, შეადგენს **65-00** (სამოცდახუთი-00) ლარს, და მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადსა და მოსაკრებელს.

4.მიწოდების ვადები და ადგილი

4.1.მიმწოდებელი გაუწევს მომსახურებას შემსყიდველს ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან არაუგვიანეს 15 სამუშაო დღისა.
4.2.მომსახურების გაწევის ადგილია მიმწოდებლის ადგილსამყოფელი.

5.ხელშეკრულების ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია მომსახურების გაწევისას თან დაურთოს თანმხლები დოკუმენტაცია.
5.2.მომსახურების გაწევა დასტურდება მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტითა და საგადასახადო ა/ფ-ით თუ ეს შესაძლებელია.
5.3.შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლება მიეცეს შემსყიდველი ორგანიზაციის შესყიდვების კოორდინატორს დ. ჯალაღანიას (პირადი№01024048441)
5.4.მომსახურების გაწევის დღედ მიიჩნევა მიღება-ჩაბარების აქტზე მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერის დღე.

6. ანგარიშსწორების ფორმა და ვადა.
6.1. მხარეები ანგარიშსწორებას ახორციელებენ უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით საქართველოს ეროვნულ ვალუტაში.
6.2.შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მომსახურების გაწევის გადაცემის დღიდან არაუმეტეს 15 საბანკო დღისა აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯამური ღირებულება.

7.მხარეების უფლება-მოვალეობანი
7.1.მიმწოდებელი ვალდებულია:
7.1.1.შემსყიდველ ორგანიზაციას დათქმულ დროში გაუწიოს მომსახურება, რომელიც აკმაყოფილებს სტანდარტებს.
7.1.2.მის მიერ მომსახურების გაწევის ვადის გადაცილების (მათ შორის უხარისხოდ, არასრული მოცულობით, საჭირო დოკუმენტაციის გარეშე) 0,1%ყოველ ვადაგაცილებულ დღეზე.
7.1.3.მიმწოდებელი უფლებამოსილია მოითხოვოს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების დათქმულ ვადაში ანაზღაურება.
7.2.შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია :
7.2.1.მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში აუნაზღაუროს ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში.
7.2.2.მიმწოდებლისაგან მიიღოს მომსახურების გაწევა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.
7.2.3.ანგარიშსწორების ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს გადაუხადოს პირგასამტეხლო ყოველ ხელშეკრულების ღირებულების 2%-სა.
7.2.4.თითოეული მხარე ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვადებულებები.

8.სუბკონტრაქტორები

8.1.მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულების ფარგლებში დასადები ყველა სუბკონტრაქტი უნდა გაფორმდეს წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

8.2.იმ შემთხვევაში, თუ სუბკონტრაქტის დადების ან სუბკონტრაქტორის შეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ზემოაღნიშნულის შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა.

9.ფორს-მაჟორული სიტუაციები

9.1.ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა.

9.2.ფორს-მაჟორი შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით, სტიქიური უბედურებებით და სხვა გარემოებებით.

9.3.ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება.

10.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

10.1.შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, მათ შორის მომსახურების ხარისხის ინსპექტირება.

10.2.მომსახურების მოცულობის, მიწოდების ვადების, ანგარიშსწორების პროცესისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების კონტროლი განახორციელოს შესყიდვების კოორდინატორმა დალი ჯალაღანიამ.

10.3.მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

11.სხვა პირობები

11.1.ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

11.2.მხარეთა შორის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დავა წყდება მოლაპარაკების გზით.

11.3.ხელშეკრულებაში ცვლილებების განხორციელება დაუშვებელია, თუ იმ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

11.4.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია, მხოლოდ ორივე მხარის წერილობითი თანხმობის შემთხვევაში.

11.5.ორივე მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს ესხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას. აგრეთვე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში, შელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მხარეები წერილობით ცნობებენ ერთმანეთს.

11.6.ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა შემსყიდველ ორგანიზაციას, ხოლო მეორე ეგზემპლარი-მიმწოდებელს.

12.მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:
სსიპ-ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა
და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი
ს/კ 211346444
თბილისი, მინდელის ქ.№10
მიმღების ბანკი სახელმწიფო ხაზინა
მიმღების დასახელება ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი TRESGE22
ა/სახაზინო კოდი 7 0879 7235

დირექტორი

Lepl-F.Tavadze Metallurgy and Materials Science Institute

Digitally signed by Lepl-F.Tavadze Metallurgy and Materials Science Institute
Date: 2019.12.18 14:08:03 +04'00'

----------------------------- ვ. თავაძე

„ ----------------------- 2019 წ.

მიმწოდებელი:
გიორგი თაყაძე

პირადობის მოწმობა №11 IB 53214
პირადი №01019004604
ს.ს. „საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი BAGAGE22
ანგარიში GE62BG0000000162270315

Giorgi Takadze

Digitally signed by Giorgi Takadze
Date: 2019.12.18 14:09:38 +04'00'

------------------------- გ. თაყაძე

„ " ------------------------- 2019 წ.

2019 წლის დეკემბრის № 233 ხელშეკრულების დანართი №1

ხელშეკრულების ობიექტი

№	დასახელება	განზ. ერთ.	რაო-დე ნობა	ერთ. ფასი (დღგ-ს ჩათვლით) ლარი	საერთო ფასი (დღგ-ს ჩათვლით), ლარი
1.	ავტომანქანა ნისანის შეკეთება: - გადაბმულობის პატარა ავზის შეცვლა	ცალი	1	65-00	65-00
				სულ	**65-00**

შემსყიდველი:
სსიპ-მეტალურგიისა და
მასალათმცოდნეობის ინსტ.
ს/კ 211346444
დირექტორი

_____ გ. თავაძე

„__“ _____ 2019 წ

Lepl-F.Tavadze Metallurgy and Materials Science Institute
Digitally signed by Lepl-F.Tavadze Metallurgy and Materials Science Institute
Date: 2019.12.18 14:08:26 +04'00'

მიმწოდებელი:

პირადი №01019004604

_____გ.თაყაძე

„__“ _____ 2019 წ

Giorgi Takadze
Digitally signed by Giorgi Takadze
Date: 2019.12.18 14:10:06 +04'00'